



## ყოველთვიური ეკონომიკური მიმოხილვა\*

### თვის მნიშვნელოვანი მაჩვენებლები

- ივნისში\*, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 7.7% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ პანდემიამდელ, 2019 წელთან შედარებით ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპები აღინიშნება.
- ივლისში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია მიზნობრივი ინფლაციის 3%-იან მაჩვენებელზე ნაკლები იყო და 0.3% შეადგინა, რაც ძირითადად განპირობებულია საცხოვრებლის და ალკოჰოლური სასმელების, თამბაქოს ჯგუფზე ფასების ზრდით.
- ივნისში\*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 10.0%-ით, ხოლო ხარჯები 12.8%-ით გაიზარდა.
- ივნისში\* კომერციული ბანკების მიერ გაცემულმა სესხებმა 46.0 მლრდ ლარი შეადგინა, მათგან ყველაზე მეტი გაცემულია ვაჭრობის, მშენებლობისა და მრეწველობის დარგებში.
- იანვარ-ივნისში\* ექსპორტმა 19.3%-ით, ხოლო იმპორტმა 20.4%-ით მოიმატა და სავაჭრო ბრუნვამ 10,269 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.
- ივნისში\* ფულადმა გზავნილებმა 353.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. გზავნილების ძირითად წყაროს რუსეთი (გზავნილების მთლიანი ოდენობის 36.6%) და ევროკავშირის ქვეყნები (31.1%) წარმოადგენდნენ.
- ივლისში მთლიანი საერთაშორისო რეზერვებმა ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია და 5,436 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 30.8%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით.
- ივნისში\*, წინა თვესთან მიმართებით, მცირედით გაიზარდა დეპოზიტებსა და სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი.
- ივლისში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებით 0.8%-ით გაიზარდა, ხოლო ევროს მიმართ 1.1%-ით გაუფასურდა.

მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილება


ელ-ფოსტა: [pbo@parliament.ge](mailto:pbo@parliament.ge)

\*სტატისტიკური ინფორმაციის გამოყვანების კალენდრის მიხედვით ზოგიერთი მონაცემი წარმოდგენს წინა თვის ცვლას



# 1. რეალური და ფისკალური სექტორი

**რეალური მშპ-ის ზრდა (%)**




**ივნისში\* დადებითი ეკონომიკური ზრდა 7.7%-ის ნიშნულზე დაფიქსირდა.**

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2023 წლის ივნისში\*, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 7.7% შეადგინა.


პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2023 წლის ივნისში, წინა თვესთან შედარებით, რეალური მშპ-ის ზრდის ანუალიზებულმა ტემპმა<sup>1</sup> 8.1% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო თვეების განმავლობაში პანდემიამდელ, 2019 წელთან შედარებით ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპები აღინიშნება.

**ეკონომიკის ზრდა 2019 წელთან შედარებით**




**სამომხმარებლო ფასების დონის ცვლილება (%)**



**ივლისში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია 0.3%-ს შეადგენს.**


წინა წლის ივლისთან მიმართებით, 2023 წლის ივლისში ინფლაციის დონე 0.3%-ით განისაზღვრა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3.0%-იან მაჩვენებელზე ნაკლები. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების დინამიკამ საცხოვრებელზე, ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე, სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე, სასტუმროებზე, კაფეებსა და რესტორნებზე, განათლებაზე და სხვა. ივლისში საბაზო ინფლაცია (სურსათის, ენერგომატარებლების, სიგარეტის ფასების გარდა, რომლებიც მაღალი მერყეობით ხასიათდებიან) 3.1%-ით განისაზღვრა. 2023 წლის ივნისში მშპ-ის წლიურმა საპროგნოზო დეფლატორმა 2.8% შეადგინა.

**წვლილი ივლისის ინფლაციაში**



<sup>1</sup> წინა თვესთან შედარებით ანუალიზებული რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი რეალური მშპ-ის მონაცემების საფუძველზე სეზონურობისა და შემთხვევითი რყევების ამორიცხვით დგინდება და წარმოადგენს შესწორებული ტრენდის განლიურებულ მაჩვენებელს.


**ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო**  
(მლნ ლარი)




**ივნისში\* ნაერთი ბიუჯეტის დადებითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.**

2023 წლის ივნისში\*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 10.0%-ით, ხოლო ხარჯები 12.8%-ით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის დადებითი საოპერაციო სალდო 436.6 მლნ ლარით, ხოლო ასევე დადებითი მთლიანი სალდო 7.2 მლნ ლარით განისაზღვრა.

**შემოსავლები და ხარჯები**  
(მლნ ლარი)



**ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხები**  
(მლნ ლარი)




**ივნისში\*, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეროვნულ ეკონომიკაზე ლარში გაცემული სესხები გაიზარდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები შემცირდა.**

წინა წლის ივნისთან მიმართებით, 2023 წლის ივნისში\* კომერციული ბანკების მიერ გაცემულმა სესხებმა 7.4%-ით მოიმატა და 46.0 მლრდ ლარი შეადგინა. მათ შორის, ლარში გაცემული სესხები 15.2%-ით გაიზარდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები მცირედით (1.0%-ით) შემცირდა. აღსანიშნავია, რომ მთლიანი სესხების ნახევარზე მეტი (54.6%) შინამეურნეობებზე მოდის.


რაც შეეხება გაცემულ სესხებს საქმიანობის სახეების მიხედვით, ყველაზე მეტი - 21.3% გაცემულია ვაჭრობის დარგში, 19.0% - მშენებლობის, 18.7% - მრეწველობის, 13.6% - უძრავი ქონების ოპერაციების, 7.4% - სასტუმროებისა და რესტორნების დარგში.

**სესხები საქმიანობის სახეების მიხედვით**  
(ნაკადები)




## 2. საგარეო სექტორის ინდიკატორები

საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები  
(მლნ აშშ დოლარი)  
იანვარი - ივნისი




იანვარ-ივნისში\*, წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, გაიზარდა როგორც საქონლის ექსპორტი, ასევე იმპორტი. კერძოდ, ექსპორტმა 19.3%-ით, ხოლო იმპორტმა 20.4%-ით მოიმატა, რის შედეგადაც სავაჭრო ბრუნვა (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 20.1%-ით გაიზარდა და 10,269 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 29.7%-ით განისაზღვრა. უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნებიდან ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა: ყირგიზეთში (1,360.1%-ით, მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის მატების გამო), აგრეთვე ესპანეთში (550.1%-ით), ყაზახეთში (280.4%-ით), სომხეთში (121.7%-ით), აზერბაიჯანში (44.0%-ით), რუსეთში (34.0%-ით) და სხვა. ექსპორტი შემცირდა უკრაინაში 42.6%-ით. საექსპორტო საქონლის მიხედვით განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა მსუბუქი ავტომობილების (267.3%-ით), თამბაქოს ნაწარმის (169.9%-ით), მინერალური და დაგაზიანებული შაქრის დანამატებით წყლების (79.2%-ით), სპირტიანი სასმელების (58.3%-ით), მინერალური წყლის (46.0%-ით), ნატურალური ღვინის (26.3%-ით) ჯგუფებში. შემცირდა ფეროშენადნობების (63.6%-ით), აზოტოვანი სასუქების (40.6%-ით), სპილენძის მადნების (36.0%-ით) საზღვარგარეთ გატანა.

უმსხვილესი საექსპორტო საქონელი  
(იანვარი - ივნისი)




ფულადი გზავნილები (%)  
ივნისი



ივნისში\* ფულადი გზავნილები შედარებით შემცირდა.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, 2023 წლის ივნისში\* საქართველოში ფულადი გზავნილები 17.4%-ით შემცირდა და 353.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. გზავნილების ძირითად წყაროს რუსეთი (გზავნილების მთლიანი ოდენობის 36.6%) და ევროკავშირის ქვეყნები (31.1%) წარმოადგენენ. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გზავნილების მოცულობამ მნიშვნელოვნად მოიმატა ერაყიდან (357.8%-ით), ირლანდიიდან (121.8%-ით), გაერთიანებული სამეფოდან (47.2%-ით), გერმანიიდან (44.7%-ით), აშშ-დან (40.0%-ით), არაბთა გაერთიანებული საემიროებიდან (40.0%-ით), საფრანგეთიდან (28.0%-ით), თურქეთიდან (26.4%-ით) და სხვა.

ფულადი გზავნილები  
(მლნ აშშ დოლარი)  
იანვარი - ივნისი




**ივლისში საერთაშორისო რეზერვებმა 5,436 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.**

2023 წლის ივლისში საერთაშორისო რეზერვების მოცულობამ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია და 5,436 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 2022 წლის შესაბამისი პერიოდის მარვენბელთან შედარებით 30.8%-ით, წინა თვესთან მიმართებით კი 7.3%-ით მეტია.

2023 წლის ივლისის თვეში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სავალუტო ინტერვენციები არ განხორციელებულა.


**მთლიანი საერთაშორისო რეზერვები**  
(მლნ აშშ დოლარი)




### 3. მონეტარული სექტორის ინდიკატორები

ივნისში\*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სარეზერვო ფულის მასა ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2023 წლის ივნისში\* სარეზერვო ფულის მასა 5.3%-ით გაიზარდა. ფულის M2 აგრეგატმა 31.2%-ით მოიმატა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპი 13.4%-ს გაუტოლდა. ივლისში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 0.3% შეადგინა.




**დეპოზიტები და დოლარიზაციის კოეფიციენტი**  
(მლნ ლარი, %)




ივნისში\*, წინა თვესთან შედარებით, დოლარიზაციის მარჯვენა მხარე დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე მცირედით გაიზარდა.

ივნისში\* დეპოზიტების დოლარიზაციის მარჯვენა მხარე 0.14%-ული პუნქტით გაიზარდა და 48.6%-ით განისაზღვრა. სესხებზე დოლარიზაციის მარჯვენა მხარე 0.55%-ული პუნქტით მოიმატა და 45.0% შეადგინა. წინა თვესთან მიმართებით, ივნისის თვეში\* ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტები 4.2%-ით, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 4.8%-ით გაიზარდა.

**სესხები და დოლარიზაციის კოეფიციენტი**  
(მლნ ლარი, %)



საბაზრო საპროცენტო განაკვეთები სესხებსა და დეპოზიტებზე (%)



ივნისში\*, წინა თვესთან მიმართებით, საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე 0.2%-ული პუნქტით გაიზარდა, ხოლო სესხებზე 1.0%-ული პუნქტით შემცირდა.

ივნისში\* საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა სესხებზე 13.1% შეადგინა, ხოლო დეპოზიტებზე 8.5%-ით განისაზღვრა. საპროცენტო განაკვეთის სპრედმა (სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის) ივნისის\* მდგომარეობით 4.6% შეადგინა, 0.4%-ული პუნქტით ნაკლები წინა წლის ივნისთან შედარებით.


საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის 2023 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილებით რეფინანსირების განაკვეთი უცვლელი დარჩა (10.5%).

**ივლისში, წინა თვესთან მიმართებით, ლარის კურსი აშშ დოლარის მიმართ გამყარების, ევროს მიმართ კი გაუფასურების ტენდენციას ავლენს.**

ივლისში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 0.8%-ით გამყარდა, ევროს მიმართ 1.1%-ით გაუფასურდა, ხოლო თურქულ ლირასთან მიმართებით 14.1%-ით გამყარდა. ამ პერიოდში გამყარდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი. რაც შეეხება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებას, ივლისში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 9.6%-ით, ევროს მიმართ 1.3%-ით, თურქული ლირასთან მიმართებით კი 66.5%-ით გამყარდა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო თვეებში მნიშვნელოვნად მოიმატა საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, ფულადი გზავნილების მოცულობამ, ასევე ტურიზმიდან და ექსპორტიდან მიღებულმა შემოსავლებმა, რამაც, წინა წელთან შედარებით, დადებითი გავლენა იქონია ლარის კურსის გამყარებაზე.


ლარის გაცვლითი კურსის ინდექსები (ინდექსის ბრუნვა ნიშნავს ლარის გამყარებას, კლება - გაუფასურებას)




## 4. რეგიონული მიმოხილვა

ივლისში, რეგიონის ქვეყნებში, გარდა თურქეთისა, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია დაახლოებით ერთნაირი დინამიკით ხასიათდება.

კერძოდ, საანალიზო პერიოდში თურქეთში წლიურმა ინფლაციამ 47.8% შეადგინა. სომხეთში კი დეფლაცია დაფიქსირდა (-0.1%). რაც შეეხება აზერბაიჯანსა და რუსეთს, 2023 წლის ივნისის\* მდგომარეობით, სამომხმარებლო ფასები, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, აზერბაიჯანში 10.6%-ით, ხოლო რუსეთში 3.3%-ით გაიზარდა.



გაცვლითი კურსის წლიური ცვლილება  
ივლისი, 2023



ივლისში რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაცვლითი კურსების ნაწილი აშშ დოლართან მიმართებაში გამყარების, ხოლო ნაწილი გაუფასურების ტენდენციას ავლენს.

კერძოდ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ივლისში აშშ დოლართან მიმართებით გამყარდა სომხური დრამი (6.2%-ით), ხოლო გაუფასურდა რუსული რუბლი (34.7%-ით), თურქული ლირა (34.2%-ით), აზერბაიჯანული მანათი (0.3%-ით).

### გამოყენებული მონაცემების წყარო:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
3. საქართველოს ეროვნული ბანკი
4. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

## ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შემაჯამებელი ცხრილები

### ცხრილი N1. ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები

		ივლ 22	აგვ 22	სექ 22	ოქტ 22	ნოვ 22	დეკ 22	იან 23	თებ 23	მარ 23	აპრ 23	მაი 23	ივნ 23	ივლ 23
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი (%)	9.7	10.5	8.8	8.3	9.3	11.0	8.4	5.8	7.3	7.5	7.0	7.7	
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი (%)	21.9	23.0	19.5	14.8	16.7	16.6	18.8	11.7	9.2	6.1	5.2	6.1	
მონეტარული სექტორი	ინფლაცია (%)	11.5	10.9	11.5	10.6	10.4	9.8	9.4	8.1	5.3	2.7	1.5	0.6	0.3
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (%)	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	10.5	10.5	10.5
	დეპოზიტების დოლარიზაცია (%)	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.6	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	
	სესხების დოლარიზაცია (%)	0.5	0.5	0.5	0.4	0.4	0.4	0.4	0.4	0.4	0.4	0.4	0.5	
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი (ლარი)	2.8	2.8	2.9	2.8	2.7	2.7	2.7	2.6	2.6	2.5	2.5	2.6	2.6
	გზავნილები (ათასი აშშ დოლარი)	306,023.4	334,266.1	387,177.7	501,998.8	521,164.6	535,251.1	444,964.0	372,328.3	438,392.2	369,709.2	384,885.8	353,170.7	
	ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი)	533.2	473.1	523.5	448.7	490.7	555.8	459.0	455.8	546.7	500.5	541.2	549.6	
	იმპორტი (მლნ აშშ დოლარი)	1,171.8	1,262.8	1,136.5	1,203.9	1,310.9	1,469.3	1,114.6	1,067.0	1,377.2	1,220.9	1,220.3	1,215.8	
	სავაჭრო ბალანსი (მლნ აშშ დოლარი)	-638.7	-789.7	-612.9	-755.2	-820.2	-913.5	-655.7	-611.2	-830.5	-720.4	-679.2	-666.1	
	საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	4,156.7	4,260.7	4,313.1	4,385.6	4,636.7	4,900.6	4,899.3	4,720.2	5,003.8	5,133.4	5,005.3	5,066.7	5,436.1
ფინანსური სექტორი	შემოსავლები (მლნ ლარი)	1,424.4	1,356.2	1,680.6	1,688.4	1,898.4	2,151.6	1,858.0	1,555.1	1,656.6	2,165.0	1,755.9	1,877.8	
	მიმდინარე ხარჯები (მლნ ლარი)	1,510.8	1,158.4	1,312.9	1,296.9	1,561.6	2,090.5	1,357.0	1,422.1	1,450.0	1,496.7	1,568.9	1,441.2	
	კაპიტალური ხარჯები (მლნ ლარი)	327.5	403.4	624.5	148.0	600.3	1,054.5	185.9	313.1	317.4	414.1	400.6	495.8	

ზრდა
  კლება
  ცვლილება < 1%

ცხრილი N2<sup>2</sup>. ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება გასული წლის შესაბამისი თვის ანალოგიურ მონაცემებთან.

		ივლ 22	აგვ 22	სექ 22	ოქტ 22	ნოვ 22	დეკ 22	იანვ 23	თებ 23	მარ 23	აპრ 23	მაისი 23	ივნ 23	ივლ 23
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
მონეტარული სექტორი	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
ფისკალური სექტორი	შემოსავლები													
	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

ცხრილი N3. ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება წინა თვის ანალოგიურ მონაცემებთან.

		ივლ 22	აგვ 22	სექ 22	ოქტ 22	ნოვ 22	დეკ 22	იანვ 23	თებ 23	მარ 23	აპრ 23	მაისი 23	ივნ 23	ივლ 23
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
მონეტარული სექტორი	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
ფისკალური სექტორი	შემოსავლები													
	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

<sup>2</sup> ცხრილ N2 და N3-ში წარმოდგენილი მონაცემები აღებულია ცხრილი N1-დან.